24/06/2026

MES 4 26 0000791211

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა:
ზვიადი ჯაღმაიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა:
ევა ბეგაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლა:
თამარ ყოჩიაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ თბილისის №2 საჯარო სკოლა:
გალაქტიონ მინდიაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - სიკო დოლიძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლა:
ლალი ყაჭეიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლა:
ნატალია ოთარაშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №4 საჯარო სკოლა:
ლელა კირკიტაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლა:
შორენა კაკაბაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის №2 საჯარო სკოლა:
მარიამ ნაცვლიშვილი - სკოლის დირექტორი
სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლა:
ამირან ბერიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ კავლელიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა თოიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა ნიკოლაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) რუსუდან ნიპარიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა:
ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) იზოლდა ჭინჭარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა მარღანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სალომე ასათიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლა:
ა) ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა კაჭკაჭიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეკატერინე ცნობილაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა ტყემალაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თინათინ მარქარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) სალომე ცხვედიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის №2 საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ ღუბელაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) რუსუდანი არზიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მერი ბეჟუაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამზირა აფაქიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლელა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - სიკო დოლიძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლა:
ა) ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეონა ბუხიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა თოიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა ნიკოლაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) რუსუდან ნიპარიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დაბა თიანეთის №2 საჯარო სკოლა:
ა) ირინა დვალი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ მატიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თეა მამულია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ზესტაფონის №4 საჯარო სკოლა:
ა) დავით ჩივაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) სოფიკო ბოქოლიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლა:
ა) მაკა მამფორია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანნა ბედენაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ხატია კაჭარავა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მზია კიპაროიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლამზირა აფაქიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ღვინიანიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის №2 საჯარო სკოლა:
ა) ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო მარღიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა მათითაიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკატერინე ჟვანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) გიორგი ხომასურიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ბელა დურგლიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ლია სვიმონიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლა:
ა) თამარ აბაზაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამარ სურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მინდია მაცაბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ქეთევან ბერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 10 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ყვარლის მინიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - ქალაქ თბილისის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - სიკო დოლიძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.სსიპ - დაბა თიანეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7.სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8.სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9.სსიპ - ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10.სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრს დაუკავშირდნენ სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 და სსიპ - დაბა თიანეთის N2 საჯარო სკოლების ავტორიზაციის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული ექსპერტები. ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, ითხოვეს სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის 1-ელ, ხოლო სსიპ - დაბა თიანეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის მე-10 საკითხად გადადება.
საბჭომ გაითვალისწინა აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ყვარლის მინიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა:
5. სსიპ - სიკო დოლიძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბელაშვილების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N4 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თელავის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - დაბა თიანეთის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1.სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა მამფორიამ. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 07 და 08 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 900. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრას ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება გამოირჩეოდა სოციო-კულტურული გარემოს ეფექტიანი ორგანიზებით. სასწავლო პროცესი წარმატებით იყო ინტეგრირებული არაფორმალურ განათლებასთან, შექმნილი იყო სხვადასხვა კლუბი და ხორციელდებოდა მრავალი პროექტი.
ექსპერტმა, მაკა მამფორიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო 3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივად“. აქვე ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ 57-ზე გვერდზე N3.4.1.4 ინდიკატორი მონიშნული იყო როგორც არადამაკმაყოფილებელი, ნაცვლად ნაწილობრივისა.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების ძირითადი შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა ახლად რეაბილიტირებული იყო. მისივე შეფასებით,

სკოლაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და მოწესრიგებული გარემო. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და შესაბამისი ადამიანური რესურსი. ექსპერტმა, მაკა მამფორიამ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა კვალიფიციური ადამიანური რესურსი, ასევე მოწესრიგებული ჰქონდა დოკუმენტაცია და რესურს ოთახი.
სკოლის დირექტორმა, შორენა კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 17 მოსწავლე, ასევე, დასაქმებული იყო ენისა და მეტყველების სპეციალისტი, 4 სპეციალური მასწავლებელი და 8 ასისტენტი.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა მოაწესრიგა თუ არა სკოლამ მასწავლებელთა ცნობებთან დაკავშირებული საკითხი და ასევე, მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით, მეტი დეტალი ეცნობებინათ საბჭოს წევრებისთვის.
სკოლის დირექტორის, შორენა კაკაბაძის, თქმით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიღების შემდგომ ყველა მასწავლებელმა წარმოადგინა სავალდებულო ცნობები, ასევე, მისი თქმით, სკოლა აქტიურად მუშაობდა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის.
სპორტის საგნობრივი ექსპერტის, ქეთევან ბორაშვილის, თქმით, გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ მასწავლებლები რეალურად ახორციელებდნენ ყველა აქტივობას, თუმცა აღნიშნული არ იყო ასახული კურიკულუმებში და გამოთქვეს მზაობა, რომ გაითვალისწინებდნენ ყველა გამოვლენილ გარემოებას.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ნათია ორმოცაძემ, დაადასტურა აღნიშნული და განმარტა, რომ მათემატიკის მიმართულებითაც აქტიურად მუშაობდნენ მასწავლებლები, თუმცა დოკუმენტურად არ დასტურდებოდა (მათ შორის დიფერენცირებული სწავლება).
საბჭოს წევრმა, ნონა ჩუბინიძემ, აღნიშნა, რომ სკოლას შვიდივე სტრატეგიული მიზანი ასახული ჰქონდა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და დაინტერესდა, შუალედური მონიტორინგის დროს რა გარემოება გამოიკვეთა.
სკოლის დირექტორმა, შორენა კაკაბაძემ, აღნიშნა, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. მისი თქმით 6 თვის შემდეგ განახორციელეს რევიზია და შედეგების მიხედვით შვიდივე მიზანს წარმატებით ახორციელებდა სკოლა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:59
დასრულების დრო - 15:03

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - მოსე ხონელის სახელობის ქალაქ ხონის საჯარო სკოლას (ს/კ: 244959808) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ხონი, პ.კაკაბაძის ქუჩა N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ხონი, პ.კაკაბაძის ქუჩა N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ხონი, პ.კაკაბაძის ქუჩა N2

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2027 წლის მაისში უფლებამოსილ ორგანოსთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, **2028 წლის მაისში** სკოლის პირველი კორპუსის რეაბილიტაციის ან დემონტაჟის სამუშაოების განხორციელებისა და შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, აღნიშნა, რომ ვერ მიიღებდა აღნიშნული სკოლის საკითხის განხილვაში მონაწილეობას, ვინაიდან ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში იყო სკოლის მხარდამჭერი ექსპერტი. აღნიშნული გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ

არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 15 და 16 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 405. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 405 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“, 3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოები, თუმცა საერთო შეფასებით შექმნილი იყო მოწესრიგებული გარემო.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას მცდელობა, გამოესწორებინა გამოვლენილი ხარვეზები. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში ფიქსირდებოდა ხარვეზი და ვინაიდან სკოლას დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ მხოლოდ ერთხელ ჰქონდა შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის საშუალება, ამიტომ დარჩა შეუსაბამობა.

სკოლის დირექტორ ევა ბეგაშვილის თქმით, სკოლას უკვე მიმართული ჰქონდა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოსთან შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით.

საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას გამოცხადებული ვაკანსია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის დასაქმების მიზნით, ასევე, ჰყავდა თუ არა სკოლას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად აცხადებდა ვაკანსიას. მისი თქმით, ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე, თუმცა ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. მან განმარტა, რომ , საერთო სარგებლობის სივრცეები განლაგებული იყო სკოლის შენობის პირველ სართულზე.

საბჭოს წევრი, ირმა ამირანაშვილი, დაინტერესდა, ვინ ახორციელებდა სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს. სკოლის დირექტორის თქმით, სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებდა შესაბამისი ჯგუფი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 405-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:18
დასრულების დრო - 15:20

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლას (ს/კ: 241572534) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 405-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭიკაანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭიკაანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭიკაანი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში მეთოდოლოგიის დამტკიცების პროცედურის განხორციელების (მართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის შესაბამისად), სტრატეგიული მიზნების, მისიისა და ხედვის დოკუმენტის შესაბამისი მართვის ორგანოების უფლებამოსილებების დაცვით დამტკიცების, სამოქმედო გეგმის უფლებამოსილებებისა და მართვის წესის შესაბამისად დამტკიცების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლების დასაქმების, **2026 წლის დეკემბერში** საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ინკლუზიური გარემოს მოწყობის, **2027 წლის იანვარში** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის, ხოლო **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 07 და 08 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 300. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „არ შეესაბამება“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ, სტრატეგიული განვითარების გეგმაში არსებული ჩანაწერი სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ არ იყო მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის პრაქტიკის შესაბამისი, შინაგანაწესში გამოყენებული ჩანაწერები არ იყო სკოლის რეალობაზე

მორგებული, ექიმის შტატზე კონკურსის ჩატარების წესი არ იყო კანონმდებლობის შესაბამისი, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლება მოპოვებული იყო კანონმდებლობის დარღვევით.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, რა გახდა მიზეზი იმისა, რომ კურიკულუმების შემუშავებაზე გუნდურად მუშაობასთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ კურიკულუმების ჩარჩო კათედრებზე იყო განსხვავებული და ამან განაპირობა რეკომენდაციის გაცემა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:39
დასრულების დრო - 15:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1, მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლას (ს/კ: 228540460) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2027 წლის ივნისიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) სტანდარტი.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმების, **2028 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4.სსიპ - ქალაქ თბილისის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, სსიპ - ქალაქ თბილისის №2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 26 და 27 მარტს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების

მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 700. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 700-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.
ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობას ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოები. სკოლას მიღებული ჰქონდა სსიპ - ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, რომლის თანახმადაც, სსიპ - ქალაქ თბილისის N2 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობა იყო არადამაკმაყოფილებელი. ასევე, დაწესებულების გარე კედელზე დამონტაჟებული იყო გაზის გამანაწილებელი მოწყობილობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი, დაინტერესდა, გადახედა თუ არა სკოლამ შეფასების რუბრიკებს და მოვიდა თუ არა თანხვედრაში კურიკულუმებთან, ასევე, მოხდა თუ არა გაზის გამანაწილებლის დემონტაჟი. სკოლის დირექტორის, გალაქტიონ მინდიაშვილის, თქმით, სკოლას ჰქონდა ერთკომპონენტიანი შეფასების სისტემა და საჭიროების შემთხვევაში განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას მოარგებდნენ კურიკულუმებს. გაზის გამანაწილებელთან დაკავშირებით კი, აღნიშნა, რომ მთლიანად შეიცვალა სისტემა, თუმცა დემონტაჟი არ განხორციელებულა.
საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული იყო რეკომენდაცია კვების ობიექტთან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და დაინტერესდა რამ განაპირობა აღნიშნული. ექსპერტმა, ქეთევან ბაცანაკლაშვილმა, აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტის ეტაპზე სკოლას არ ჰქონდა სურსათის უვნებლობის სამსახურისგან შესაბამისი დოკუმენტაცია მიღებული, სკოლამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა, რომ გააუქმებდა ხელშეკრულებას და სწორედ ამიტომ აისახა რეკომენდაციაში აღნიშნული საკითხი.
საბჭოს წევრი, ირმა ამირანაშვილი, დაინტერესდა, რამდენად იყო მოსწავლეთა უსაფრთხოება დაცული ექიმისა და ექთნის არყოფნის დროს. სკოლის დირექტორის თქმით, პირველ სემესტრამდე სკოლას ჰყავდა ექთანი, თუმცა პირადი მიზეზების გამო დატოვა სკოლა და მეორე სემესტრში მის ფუნქციას ითავსებდა ბიოლოგიის მასწავლებელი. მისი თქმით, უკვე შერჩეული იყო შესაბამისი კვალიფიციური კადრი და სექტემბრიდან სკოლას ეყოლებოდა ექიმი.
